სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება № 01-05-04/186

ქ. თბილისი

22 ივლისი 2019

საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრობის კანდიდატობის მსურველთა რეგისტრაციის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის №01-05-02/15 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრობის კანდიდატობის მსურველთა რეგისტრაცია დაიწყოს 2019 წლის 9 სექტემბრიდან 20 სექტემბრის ჩათვლით;
2. საბჭოს წევრობის კანდიდატმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასლი);
- CV - მონაცემები შრომითი საქმიანობის შესახებ;
- სამეცნიერო ან აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი/დოკუმენტები (ასლი);
- შრომების სია (განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებულ შრომებს);
- ეროვნული, საერთაშორისო, დარგობრივი აკადემიის წევრობა;

- საბჭოს სპეციალობით დაცული დისერტაციების ხელმძღვანელობა;
- სხვა აქტივობები (სახელმწიფო და სხვა სახის პრემიების ლაურიატობა, საექსპერტო საქმიანობა, საერთაშორისო, სახელმწიფო და რეგიონალურ პროგრამებში მონაწილეობა, სარედაქციო კოლეგიებში მუშაობის გამოცდილება და სხვა);

  არასწორი ინფორმაციის დაფიქსირების შემთხვევაში წარმოდგენილი კანდიდატურა არ განიხილება.

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**